უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა

დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს

2024 წლის 02.03 ოქმი #2 გადაწყვეტილებით

ცვლილება შეტანილია წარმომადგენლობითი საბჭოს
2025 წლის 23.07 ოქმი #12 გადაწყვეტილებით

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიოტეტი“) მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის წესი განსაზღვრავს უყნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმებს და მისი განხორციელების ეტაპებს.

2. მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი ხორციელდება შემდეგი მიმართულებით :

2.1. ინსტიტუციური დონე - ფასდება: რამდენად იქნა მიღწეული სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნები, დადგენილი ინდიკატორების, ვადებისა და განსაზღვრული რესურსების შესაბამისად; უნივერისტეტში დანერგილი შიდა ხარისხის მექანიზმების ეფექტიანობა; ეკონომიკური ეფექტურობა და ფინანსური მაჩვენებლები.

2.2. სტრუქტურული ერთეულების დონე - ფასდება: თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის შედეგები და პერსონალის მიერ სამუშაოს შესრულების ეფექტიანობა;

2.3. დაინტერესებული პირების დონე - ფასდება: სტუდენტების და პერსონალის კმაყოფილების დონე უნივერსისტეტში არსებული მართვის სტილით, სერვისებითა და სხვა და სხვა საკითხებით რაც გავლენას ახდენს უნივერსიტეტის მართვის სისტემის ეფექტიანობაზე.

2.4. უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

2.4.1. კითხვარების მომზადება;

2.4.2. კვლევის ჩატარება (შეფასებების შეგროვება);

2.4.3. კვლევის შედეგად მიღებული მასალის დამუშავება;

2.4.4. კვლევის შედეგების ანალიზის შედეგად დასკვნების შედგენა;

2.4.5. რეკომენდაციების მომზადება და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

3. უნივერსიტეტის მართვის მონიტორინგის მიმართულებებია:

3.1. უნივერსიტეტში ტარდება კვლევა თანამშრომელთა კმაყოფილების კითხვარის მიხედვით, რომელიც ანონიმურია და ეგზავნება ონლაინ: „თანამშრომელთა კმაყოფილების კითხვარი“ (ფორმა 1). უნივერსიტეტის დასაქმებულის პირადი შეხედულებების (პრიორიტეტების) გამოკითხვის შედეგებით ადმინისტრაცია აანალიზებს რა ცვლილებებია საჭირო სამუშაო გარემოს გაუმჯობესებისა და განვითარებისთვის.

ამავე კითხვარში გაერთიანებულია უნივერსიტეტში დასაქმებულის მიერ უნივერსიტეტის საქმიანობის სასურველ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების კვლევა -მენეჯმენტის შეფასება. აღნიშნული კვლევის შედეგებით უნივერსიტეტის ადმინისტრაცია აანალიზებს უნივერსიტეტის მენეჯმენტის ძლიერ და სუსტ მხარეებს; ადგენს უნივერსიტეტის მენეჯმენტის რა მიმართულება საჭიროებს გაუმჯობესებას, აღმოფხვრის ხარვეზებს, ახორციელებს მნიშვნელოვან ცვლილებებს.

3.2. უნივერსიტეტში, ხარისხის სამსახურის კორდინაციით, ტარდება კვლევა აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარის მიხედვით “პროფესორ-მასწავლებლების კმაყოფილების კითხვარი” (ფორმა 2), სადაც გარდა სასწავლო პროცესების ადმინისტრირების შესახებ ინფორმაციის ანალიზისა, ასევე იკვეთება ინფორმაცია ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შესახებ. ამ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია სწრაფ რეაგირებას ახდენს ფინანსური რესურსების მობილიზებით;

3.3 უნივერსიტეტში დასაქმებულთა შეფასება, რომელიც ხორციელდება, კითხვარით „დასაქმებულის შეფასება“ (ფორმა 3). აღნიშნული კითხვარი ივსება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის უფროსის, უშუალო ხელმძღვანელის მიერ. მიღებული შედეგების მიხედვით მზადდება დასკვნები და რეკომენდაციები კონკრეტული დასაქმებულის საუნივერსიტეტო საქმიანიობაში/აქტივობაში ეფექტური თვითრეალიზაციის მიზნით. გარდა ამისა, შეფასების შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დასაქმებულის მიმართ წამახალისებელი გადაწყვეტილებების მისაღებად, ან მათივე გადამზადების/კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ასევე შესაძლოა უნარების სწორად განსაზღვრის შედეგად პერსონალის შიდა როტაცია, რაც უკეთესი პროდუქტიულობის მიღებას ემსახურება.

3.4. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულები წელიწადში ორჯერ, ყოველი წლის მესამე კვარტალში ივსება მომავალი წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც ასევე გათვალისწინებულია ბიუჯეტირებაში და კალენდარული წლის დასრულების შემდეგ, წარუდგენენ ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისათვის მნიშვნელოვან, სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ ძირითადი ინფორმაციას. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის ანგარიშის შეფასების შედეგები და მისგან გამომდინარე რეკომენდაციები განიხილება უნივერისტეტის ადმინისტრაციაში და ანალიზის შემდეგ წარმომადგენლობით საბჭოზე. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გეგმებში საჭირო კორექტირებების განხოცილების შესახებ. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცედურის განხოციელება უზრუნველყოფილია „უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის შესაბმისად.

3.5. უნივერსიტეტის ხარსხის უზრუნველყოფის სამსახური, ადმინისტრაციასთან ერთად ახორციელებს საქმიანობის კოორდიანციას, რომელიც ემსახურება ავტორიზაციის ექსპეტრტთა და ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებულ აქტივობებს (ფორმა 5). ფორმა ეგზავნებათ ყველა იმ პირს, რომელსაც კომპეტენციის ფარგლებში ეხება საკითხი და გადმოგზავნილი

ინფორმაციის საფუძველზე ხდება, საჭიროების შემთხვევაში ახლი დოკუმენტაციის შექმნა, ან არსებული დოკუმენტში ცვლილების განხორციელება.

3.6. ყოველი აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევების შეფასებების განხორციელებას აქვს შემდეგი დანიშნულება:

ა) უნივერსიტეტის მენეჯმენტის გაუმჯობესება;

ბ). დასაქმებულის შრომით-სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებაში: სხვა სამუშაოზე გადაყვანა;

გ). სწავლებასა და გადამზადებაზე რეკომენდაცია;

დ). დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლება/წახალისება; (წარმატებული და საიმედო თანამშრომლების გამოვლენა მათი დაჯლდოების/კარიერული წინსვლის მიზნით);

ე) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებასა და მართვის სწრაფ რეაგირებაზე, რაც ქმნის დამატებითი სინერგიებს უნივერსიტეტის საქმიანობაში.

4. მონიტორინგს დაქვემდებარებული პირები და მონიტორინგის საფუძველი.

1. მონიტორინგს ექვემდებარება:

- ფაკულტეტების ადმინიტრაციული თანამდებობის პირები;
- ადმინისტრაციულ-დამხმარე სამსახურის უფროსები;
- დეპარტამენტების უფროსები;
- აკადემიური პერსონალი

2. მონიტორინგი ტარდება:

ა) მონიტორინგი ტარდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით;

ბ) უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;

გ) კადრების სამსახურის ინიციატივით;

დ) კონკრეტული სამსახურის ინიციატივით;